ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1206327

ნომერი: AR1208983

თარიღი : 01.04.2014

გაცემის თარიღი : 04.04.2014

გაცნობის თარიღი : 07.04.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გარი მაიქლ დონქლი პ/ნ 01191001952
- თბილისი წყნეთის გზატ. N 52

ორგანიზაცია:

- შპს "რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი" კოდი: 204557014

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები, კერძოდ:

1. თქვენს მიერ განსაზღვრეთ "განაცხადის მდებარეობა რუკაზე" არასწორად არის მონიშნული საპროექტო ადგილი, ვინაიდან არსებული სიტუაციის ფოტოებიდან ირკვევა, რომ სარეკლამო მიმანიშნებელი აბრის განთავსება ხდება გზის გამყოფ ზოლში თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, ხოლო თქვეს მიერ მონიშნულია სავაჭრო ცენტრის შენობა. აქედან გამომდინარე საჭიროა "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" მოინიშნოს ზუსტი საპროექტო ტერიტორია, რისთვისაც გეძლევათ რუკის ცვლილების საშუალება და უნდა ისარგებლოთ რუკის ცვლილების ღილაკით.

2. თქვენს მიერ ნომენკლატურა არასწორად არის არჩეული. ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე სამსახურის მიერ წერილობითი თანხმობა არ გაცემულა ნომენკლატურაში კორექტირების ნაცვლად უნდა აირჩიოთ "აბრების და რეკლამების განთავსება - ქმედებები ახალი მშენებლობა" და შეავსოთ შესაბამისი ველები, რისთვისაც ასევე გეძლევათ ნომენკლატურის ცვლილების საშუალება და უნდა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.

3. ვინაიდან აბრის კონსტრუქციის განთავსება ხორციელდება თვითმართველი ერთეულის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, წარმოსადგენია ქ. თბილისის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა სარეკლამო მიმანიშნებელი აბრის მოწყობასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა აიტვირთოს "ფაილის მიმაგრების" ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.